



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 146/ს
31/03/2023

146-21-4-202303311629



ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსი „ბობოყვათის“ მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 16 მარტს წარმოდგენილ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსი „ბობოყვათის“ მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია და სკრინინგის განცხადება.

სტრატეგიული დოკუმენტი და სკრინინგის განცხადება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსდა როგორც სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://nea.gov.ge/Ge/GZSH/2599>), ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ბობოყვათის მიმდებარედ არსებულ ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე. ტერიტორიას ჩრდილოეთით ემიჯნება სამეზობლო მიწის ნაკვეთები, ხოლო აღმოსავლეთით ქობულეთი-ბათუმის დამაკავშირებელი გზა (აბაშიძის ქუჩა). გეგმარებითი ერთეულის დაზუსტებული ფართობი შეადგენს 188217 კვ.მ-ს. დოკუმენტის თანახმად, შპს „ბობოყვათი“ გეგმარებით ერთეულზე გეგმავს მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის მოწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გეგმარებით არეალი ჯამში მოიცავს 17 საკადასტრო ერთეულს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო არეალის განვითარების ხედვა თანხვედრაშია ქ. ქობულეთის განაშენიანების გეგმასთან. საპროექტო ტეროტორია

დაყოფილია შემდეგ ფუნქციურ ქვებზე: საქმიანი ზონა (შზ-3), სააგარაკე საცხოვრებელი ზონა (სზ-1), საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-3; დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2); საკურორტო სარეკრეაციო ზონა (შზ-4); სპეციალური ზონა (სპზ-2); ტერიტორიებს ტრანსპორტის და გამწვანებისთვის (გტ).

კონცეფციით წარმოდგენილია შერეული ინტენსივობის განაშენიანება, დაგეგმილია სასტუმროს ტიპის შენობებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეების განთავსება, საშუალო ინტენსივობის დასასვენებელი საცხოვრებელი სახლები, რომელთა სართულიანობა იქნება 5-7 სართული, ასევე დაგეგმილია ორსართულიანი ვილებისა და „თაუნჰაუსების“ მოწყობა. გათვალისწინებულია ღია და დახურული საჯარო სივრცეების მოწყობა, რეკრეაციული სივრცეები, საცურაო აუზი, პარკინგი. ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება გასართობი სივრცეები და ღია თავშეყრის ადგილები. დაგეგმილია არსებული ფიჭვნარის ტყის მასივის შენარჩუნება, „სატყეო ზონების“ და ახალი მწვანე სივრცეების შექმნა.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მიწის ფუნქციური გამოყენების შესახებ ინფორმაცია და ილუსტრირებულია განვითარების გეგმა. საპროექტო ტერიტორიის განვითარება, ლანდშაფტური მახასიათებლებისა და არსებული ხე-მცენარეების მიხედვით დაგეგმილია 3 ნაწილად - ე.წ. „ტყის მონაკვეთი“, „მდელოს მონაკვეთი“ და სანაპიროს მიმდებარე ტერიტორია.

- „ტყის მონაკვეთზე“, გაშენებულია ფიჭვები, რომელთა შენარჩუნებაც ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება სათავგადასავლო პარკის, სპორტული ბილიკისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა.
- სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი იქნება თეატრი, აუზი, რესტორნები და პანორამული ხედები ზღვის მიმართულებით.
- „მდელოს მონაკვეთებზე“ მოეწყობა საცხოვრებელი და სპორტული დანიშნულების შენობა-ნაგებობები (სპორტული მოედნები, „სკეიტ პარკი“).

მრავალფუნქციური დასასვენებელი კომპლექსის ელექტრომომარაგება და წყალმომარაგება განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციების ქსელებიდან, ხოლო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში.

მშენებლობა დაგეგმილია 3 ფაზად. თითოეული ფაზის მშენებლობის ვადა იქნება დაახლოებით 3 წელი. შესაბამისად 3 ფაზის მშენებლობის დასრულების სავარაუდო დრო შეადგენს 6 წელს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას, ათწლეულების განმავლობაში განთავსებული იყო სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობები (ამჟამად ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი შენობების საძირკვლების ნანგრევები), მოწყობილი იყო შიდა გზები

და სხვა კომუნიკაციები. სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტის განხორციელების შემდგომ, დაცული იქნება როგორც ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები (შენარჩუნებული იქნება „სარეკრეაციო სივრცეებად“), ასევე შავი ზღვა და სანაპირო ზოლი (ნარჩენებით დაბინძურებისგან).

სკრინინგის განცხადებაში სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი დახასიათებულია კლიმატის, გეომორფოლოგიის, გეოლოგიური აგებულების, ტექტონიკის, სეისმურობისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით. ასევე, მოცემულია ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების შესახებ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტის განხორციელებით ატმოსფერულ ჰაერზე მცირე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების სახით. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში ემისიები გამოწვეული იქნება ავტოტრანსპორტის მუშაობის და თავად მშენებლობის პროცესის შედეგად. ასევე, დოკუმენტის თანახმად, სამუშაოები განხორციელდება ლოკალურად და გამოყენებული ავტოტრანსპორტის რაოდენობა იქნება მინიმალური. პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობას (სამშენებლო ბანაკები, მისასვლელი გზები და ა.შ.), რაც შეამცირებს ზემოქმედებას ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. სამშენებლო სამუშაოები არ საჭიროებს და შესაბამისად არ ითვალისწინებს გაფრქვევის სტაციონარული წყაროს არსებობას.

მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის არაორგანიზებულ წყაროებად დასახელებულია შემდეგი ტექნიკა: ავტოთვითმცლელი, ამწე, სატკეპნი აპარატი, ბეტონმზიდი, ექსკავატორი/ბულდოზერი.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შერბილების მიზნით წარმოდგენილია ისეთი შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა: სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მუდმივი კონტროლი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური დათვალისწინების გავლის ვალდებულება, სამშენებლო მასალის გადატანისას გადაადგილების სიჩქარის დაცვა, გადმოტვირთვისას მასალების დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის აკრძალვა, ამტვერებადი მასალების დახურული ტრანსპორტირება და შენახვა, შენობების მტვრის დამცავი ბადეებით შეფუთვა, ქვის და სხვა ამტვერებადი მასალების სველი წესით დასუფთავება, სამშენებლო ზონიდან გასვლის წინ ავტომობილის საბურავებისა და ძარის გარეცხვა და სხვა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე კომპლექსის მომხმარებელთა/ბინადართა გაზრდილი რაოდენობა, ვერ მოახდენს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას, რადგანაც ქობულეთის შემოვლითი გზა უზრუნველყოფს ბოზოყვათის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანების ნაკადის მკვეთრ შემცირებას და დასასვენებელ კომპლექსში მისულ მომხმარებელთა/ბინადართა რაოდენობა არ გადატვირთავს/არ გაზრდის საავტომობილო გზაზე მოძრაობას. ამასთან, დამატებით განხორციელდება დასასვენებელ კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო სქემის შეთანხმება შესაბამის

უწყებებთან, უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟდება გამაფრთხილებელი ნიშნები და შუენიშნები. სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებები, არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკის მუშაობა. თუმცა, სამუშაოების დროს არ იგეგმება ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროების გამოყენება. ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ მასალების ტრანსპორტირების და სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში. აღნიშნულ ზეგავლენას ექნება დროებითი და ლოკალური გავრცელების სახე, ტექნიკა იმუშავებს მხოლოდ დღისით, სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ხმაური და ვიბრაცია კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში იქნება. სამშენებლო მოედნებამდე და მიმდებარე ტრასაზე ტვირთების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება არსებული საავტომობილო გზები (დამატებითი საავტომობილო გზების მშენებლობა არ არის გათვალისწინებული). მძიმე ტექნიკის მუშაობის ადგილას და ასევე, სამშენებლო დერეფნის პერიმეტრზე განთავსდება გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები. სამშენებლო დერეფანში უცხო პირთა გადაადგილება შეიზღუდება.

მშენებლობის ფაზაზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების დონეების მინიმიზაციის მიზნით გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მოსახლეობის სიახლოვეს ხმაურიანი სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში;
- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების რისკები;

დოკუმენტის თანახმად, მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის პროექტის კონცეფციის მიზანია ტერიტორიის თანაბარი განვითარება და ადგილობრივი ლანდშაფტის მახასიათებლების მაქსიმალური შენარჩუნება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ლანდშაფტზე ზემოქმედების მხრივ არათუ ნეგატიური, არამედ დადებითი ხასიათის მატარებელი იქნება.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, საქმიანობების სპეციფიკიდან გამომდინარე ექსპლუატაციის ეტაპზე, უარყოფითი ზემოქმედება ნიადაგზე არ არის მოსალოდნელი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში განხილულია შესაძლო ზემოქმედება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე.

დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დროს ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება დაბალი იქნება. სამშენებლო ტერიტორიაზე გრუნტის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან ზეთების გაჟონვამ, მშენებლობისას გამოყენებული მასალების და ნარჩენების

უკონტროლო დაყრამ. აღნიშნული გარემოების აღმოსაფხვრელად, დოკუმენტის მიხედვით, საჭიროა სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის მკაცრი კონტროლი და ნარჩენების სწორი მართვა.

საპროექტო არეალში არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიდიდე 5-10 სმ-ია. ამასთან, აღნიშნული ნიადაგი წლების განმავლობაში განიცდიდა ტექნოგენურ და ანთროპოგენურ ზემოქმედებას, ტერიტორიაზე განთავსებული იყო შენობა-ნაგებობები, რამაც ჩამოაყალიბა ანთროპოგენური ლანდშაფტი.

დოკუმენტის მიხედვით, სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხსნილი ნიადაგი კვლავ განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე - გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის. ნაყოფიერი ფენის სწორად მოხსნისა და მართვის პირობებში ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ნიადაგის გარემოსდაცვითი გეგმა, ნიადაგის მონიტორინგის გეგმა და ნიადაგის დაბინძურების მართვის გეგმა.

პროექტის ფარგლებში გრუნტის განთავსებისთვის სანაყაროების მოწყობა არ იგეგმება, ამოღებული გრუნტის ნაწილი გამოიყენება უკუყრილებისთვის, ხოლო ნაწილი რომელიც გამოუსადეგარი იქნება სამშენებლო სამუშაოებისთვის გატანილი იქნება უახლოეს ინერტული ნარჩენების პოლიგონზე. ამასთან, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მისი შემდგომი გამოყენება განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების ძირითადი რისკი მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე მომხდარი გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სატრანსპორტო საშუალებების გაუმართავობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრას ან ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მათი არასწორი მართვით დაბინძურებას. დოკუმენტის თანახმად, გარემოსდაცვითი მოთხოვნებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება, ტექნიკის გამართულობის კონტროლი, ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მათი მართვა და მონიტორინგი მშენებლობის დროს წყლის გარემოს დაბინძურების რისკსა და ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე უარყოფით ზემოქმედებას მინიმუმამდე შეამცირებს. ამასთან, აღნიშნულია, რომ მშენებლობის დროს არ იგეგმება სამშენებლო ბანაკების მოწყობა, ტექნიკის ადგილზე მომსახურება ან სამშენებლო მასალების მოედნებზე დასაწყობება, რაც ასევე შეამცირებს დაბინძურების რისკებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტი სახეცვლილია ადამიანის ჩარევის შედეგად. ანთროპოგენური ზემოქმედებით შეცვლილია პირველადი მცენარეული საფარი და ამჟამად საპროექტო ტერიტორიის დიდი ნაწილი ინტროდუცირებულ სახეობებს უკავიათ. ამასთან, დეკორატიული მცენარეების გაშენებამ გამოიწვია არსებული ფიტოცენოზების

ტრანსფორმაცია და მეორადი ფიტოცენოზის ფორმირება. ტერიტორიაზე მეორადი ფიტოცენოზების შექმნაში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ასევე და ადვენტურის (უცხო წარმოშობის) მცენარეები.

დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის დროს მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული არსებული ხე-მცენარეები, ვინაიდან პროექტის მიზანია არსებული მწვანე სივრცეების შენარჩუნება. კონცეფციის განხორციელების შედეგად, ტერიტორიის გამწვანების კოეფიციენტით გამოანგარიშებული ფართობების ჯამი იქნება 76 300 კვ.მ. ამასთან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, არსებულ მწვანე ნარგავებს დაემატება ახალი მცენარეები.

დოკუმენტის თანახმად, პროექტის განხორციელებამ შესაძლოა, გარკვეული ზემოქმედება იქონიოს ფაუნაზე. კერძოდ, სამშენებლო-სამონტაჟო პროცესში მიწის სამუშაოებმა, კომუნიკაციების გაყვანის დროს, ტექნიკის გადაადგილებამ, მასალების დატვირთვა-ჩამოტვირთვამ, ვიბრაციამ, მტვერმა, ხმაურმა და სხვამ, შესაძლოა გამოიწვიოს არსებული ცხოველთა დაშავება ან დაღუპვა, ბუდეების/ბუნაგების დაზიანება/განადგურება, არსებულ ცხოველთა დაფრთხობა და დროებითი მიგრაცია პროექტის ზემოქმედების არეალიდან. თუმცა დოკუმენტის თანახმად, სამუშაოები განხორციელდება შეზღუდულ არეალში (შენობა-ნაგებობები და მათთან მისასვლელი მცირე მონაკვეთები) და აღნიშნული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო და დროებითი. ამასთან, პროექტის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით წარმოდგენილია შემდეგი ღონისძიებები:

- ტერიტორიის პირველადი გაწმენდითი სამუშაოების განხორციელება ცხოველთა უმრავლესობის გამრავლების სეზონის დამთავრების შემდეგ;
- ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის მაქსიმალურად შენარჩუნების აუცილებლობა;
- 40 სმ დიამეტრის ხეების მოჭრის შემთხვევაში, ყოველი მოჭრილი ხის სანაცვლოდ ნერგების დარგვასთან ერთად სამ-სამი „ბათბოქსის“ დამონტაჟება (დამურებისთვის სპეციალური თავშესაფარი).

ბათუმის სამიგრაციო დერეფანი (ჭოროხის დელტა - საიტი GE0000054) სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიიდან დაშორებულია 23 კმ-ზე მეტი მანძილით, ხოლო კოლხეთის ეროვნული პარკი (საიტი GE0000006) (ჭარბტენიანი ტერიტორიები) დაშორებულია 28 კმ-ზე მეტი მანძილით. სკრინინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობითა და ექსპლუატაციით ფრინველთა სამიგრაციო ზოლზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დოკუმენტში განხილულია მშენებლობის პერიოდში შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე ზემოქმედების საკითხი, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, რაც უკავშირდება სატრანსპორტო საშუალებების გაუმართავობის გამო ნავთობპროდუქტების მოხვედრას წყლის გარემოში ან ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მათი არასწორი მართვით დაბინძურებას. თუმცა აღნიშნული რისკები, მკაცრი მონიტორინგის მოსალოდნელი არ იქნება.

დოკუმენტის მიხედვით კონცეფციით გათვალისწინებულ განაშენიანებას ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება არ ექნება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, რადგან მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის სამშენებლო განვითარება იგეგმება არსებულ ლანდშაფტთან სინთეზით.

კონცეფციის განხორციელების ტერიტორიასთან მჭიდროდ დასახლებული პუნქტები განთავსებული არ არის. თუმცა ტერიტორიას ესაზღვრება რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. ქობულეთი-ჩაქვის საავტომობილო გზის მხარეს, გეგმარებით ერთეულში შემავალი ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის (ს/კ 20. 24.09.078) მიწის ნაკვეთის საზღვრიდან 5, 10, 22, 23 და 50 მეტრი მანძილის დაშორებით განთავსებულია ხუთი საცხოვრებელი სახლი. თუმცა, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი „სარეკრეაციო“ ზონა იქნება.

დოკუმენტის თანახმად, გდგ კონცეფციის განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობაზე იქონიებს როგორც დადებით, ასევე მცირე უარყოფით ზემოქმედებას. დადებით ზემოქმედებაში მოაზრებულია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება (პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე) და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ხოლო უარყოფით ზემოქმედებაში მოაზრებულია ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება. დოკუმენტში წარმოდგენილია აღნიშნული ფაქტორებით ზემოქმედების თავიდან აცილების და შემარბილებელი ღონისძიებები როგორცაა: სამშენებლო პერსონალის რეგულარული ტრენინგები გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ, სამშენებლო პერსონალის მიერ გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლი და ხმაურის, მტვერისა და ვიბრაციის გავრცელების თავიდან აცილების და შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა მოსახლეობაზე პროექტით შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის ასაცილებლად ან/და შესარბილებლად.

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის სამშენებლო მოედნებზე დაიდგმება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციას. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების და მცირე რაოდენობით არასახიფათო შესაფუთი მასალების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება სახურავიანი კონტეინერები, რომელთა გატანა ასევე მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე.

ბობოყვათის მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსის ექსპლუატაციის ეტაპზე მკაცრად გაკონტროლდება ნარჩენების მართვა, რაც გამორიცხავს შავი ზღვის და სანაპირო ზოლის დაბინძურებას. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, სანაპირო ზოლის შენარჩუნება და მოვლა კონცეფციის ერთ-ერთი მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

მრავალფუნქციური დასასვენებელი კომპლექსის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნას, რომლის გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ არის განთავსებული საწარმოები, მრავალფუნქციური დანიშნულების სხვა დასასვენებელი კომპლექსები და სხვ. შესაბამისად, სკრინინგის განცხადების მიხედვით, გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი არ არის. ამასთან პროექტის განხორციელებისას მკაცრად იქნება დაცული კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების ნორმები.

პროექტის სამშენებლო ინფრასტრუქტურა არ ითვალისწინებს დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ: სამშენებლო ბანაკი, ბეტონის კვანძი, სტაციონარული გაფრქვევის წყაროები, სანაყაროები, საწვავის შესანახი რეზერვუარები. სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება არ იგეგმება დაცული ტერიტორიებისა და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების (ზურმუხტის საიტი) ფარგლებში. საპროექტო ტერიტორიიდან ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილი დაშორებულია დაახლოებით 7 კმ-ით, ხოლო მტირალას ეროვნული პარკი დაშორებულია 8,4 კმ-ით. საპროექტო ტერიტორიიდან ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული ტერიტორია - „მტირალას“ GE000016 საიტი - დაშორებულია 8,4 კმ და მეტი მანძილით. გეგმარებითი ერთეული არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას საჭიროა სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების დაცვა. საპროექტო ტერიტორიაზე რაიმე გეოდინამიკური პროცესი არ შეინიშნება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ არ იგეგმება მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, სკრინინგის განცხადების თანახმად, რაიმე გეოდინამიკური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

დაგეგმილი საქმიანობა უნდა წარიმართოს სამშენებლო მოედნებზე განხორციელებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, რომელიც საჭიროა შეთანხმდეს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური დანიშნულების დასასვენებელი კომპლექსი „ბობოყვათის“ მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმა არ დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო